„საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA“ აცხადებს ვაკანსიას ლაბორატორიის კოორდინატორის პოზიციაზე.

„SBA“ მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიაა, რომელიც ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებასა და უწყვეტ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.

სამუშაო ადგილი - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
სამუშაო გრაფიკი: ნახევარი განაკვეთი
ანაზღაურება: კვალიფიკაციის შესაბამისად

ჩვენ გთავაზობთ:

- ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას
- უსაფრთხო სამუშაო გარემოს
- სამედიცინო დაზღვევას
- აკადემიის შიგნით სასწავლო საქმიანობის შეთავსებას
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობას
- კარიერული ზრდის შესაძლებლობას

ძირითადი ფუნქციები:

- ლაბორატორიული საქმიანობის მართვა, სწორად მიმდინარეობის უზრუნვლყოფა
- ლაბორატორიის აღჭურვილობის და მასალების მართვა
- ლაბორატორიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ლაბორატორიული კვლევების და ექსპერიმენტების კოორდინაცია
- ლაბორატორიის თანამშრომლების და სტუდენტების კოორდინაცია და დახმარება, საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოების პროცედურების სწავლება
- დოკუმენტაცის წარმოება და ანგარიშგებების მომზადება
- ლაბორატორიის ინვენტარიზაცია
- უტილიზაციის საჭიროების კონტროლი და შესაბამის ორგანიზაციასთან კომუნიკაცია მისი განხორციელების მიზნით

მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ქიმიის/ბიოლოგიის მიმართულებით;
- სავალდებულოა მსგავს პოზიციაზე მინ. 1 წლიანი ან საგანმანათლებლო სფეროში ლაბორატორიაში მუშაობის მინ. 3 წლიანი გამოცდილება
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების (მათ შორის Excel-ის) სამუშაო დონეზე ცოდნა;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე

- **პიროვნული უნარები:**

- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- გუნდურად მუშაობის უნარი;
- ორგანიზებულობა, დეტალების მიმართ ყურადღება;
- ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

კანდიდატის მიღება ხდება 1 გასაუბრებით

დაინტერესების შემთხვევაში, გამოგვიგზავნეთ რეზიუმე მეილზე career@sba.edu.ge და სათაურის ველში მიუთითეთ პოზიციის დასახელება

რეზიუმეების მიღების ბოლო ვადა: **25 ოქტომბერი**

დაკავშირება მოხდება მხოლოდ იმ პირებთან, ვინც გაივლის შერჩევის პირველ ეტაპს და მიენიჭება კანდიდატის სტატუსი.

„SBA" კანდიდატთა შერჩევის პროცესს ახორციელებს დისკრიმინაციის ყველა ფორმით აღმოფხვრის შესახებ კანონის მოთხოვნათა და პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპების დაცვით და გამორიცხავს პირთა მიმართ დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით.

კანდიდატის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას „SBA" ხელმძღვანელობს პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანია, დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა ვაკანსიის მოთხოვნებთან. "SBA"- შიკანდიდატის მონაცემები ინახება არაუმეტეს 6 თვის ვადით.

გისურვებთ წარმატებას!